



Kingdom of the Netherlands

## პრესრელიზი

23 დეკემბერი 2011 წ.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) წარმოგიდგენთ პროექტს: რომლის მხარდამჭერია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩო. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას კონსტიტუციური კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს მოქალაქეები, კონსტიტუციური კანონპროექტის ავტორები, მასმედიის, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. საჯარო განხილვები 28 ოქტომბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, გურჯაანში, თელავში, ახალციხეში, დუშეთში და რუსთავი ჩატარდა.

განხორციელებული დისკუსიების შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები კონსტიტუციური ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-დან 190 დეპუტატამდე აღარ გაიზრდება. სამართლიანი არჩევნები (ISFED)-ს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხრიდან საყოველთაო-საჯარო განხილვების დროს დაფიქსირებულ უარყოფითი შეფასება.

ახალი კონსტიტუციური ინიციატივის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის გათვალისწინებული პირობების შექმნამდე პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან.“

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება, რომ საქართველოს პარლამენტმა მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები კონსტიტუციური ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, ამასთანავე აღნიშნავს, რომ კვლავ რჩება პრობლემები არსებულ საარჩევნო სისტემაში, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საარჩევნო სისტემის დახვეწის მსჯელობის პროცესში.

შეხვედრა გაიმართება: 23 დეკემბერს, ქ. გორში 16:00-საათზე, მისამართი: სტალინის ქ.16, გორის გამგეობის სააქტო დარბაზი.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“

თამარ ჯიჯიხია

ტელ: 555 97 44 74